PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯ "სპექტრის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „წყალარინების სისტემები“ - მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
მანანა მოისწრაფიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი "სპექტრი"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
წყალარინების სისტემები	30	0	0

შენიშვნა: ინფორმაციის შევსება განხორციელდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - კოლეჯი „სპექტრის“ მიერ 2022 წლის 13 იანვრს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში(შემდგომში ცენტრი) წარმოდგენილ იქნა ინფორმირების შევსებული ფორმა წყალარინების სისტემების პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შესახებ (მოდულურიდან დუალურზე გადასვლის მოთხოვნით), დაწესებულებას ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს 2019 წელს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული 30 განხორციელების ფორმა მოდულური.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 01 თებერვლის N 93085 (ცვლილება:N118300 07.02.22) ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაგვევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "წყალარინების სისტემების“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტების შემოწმება(არაგეგმიური მონიტორინგი).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ცენტრში წარმოდგენილი მასალები, შედგა დღის წესრიგი და 2022 წლის 21 თებერვალს განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა: შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან, დოკუმენტაციის განხილვა, საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსისა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეების შემოწმება (მათ შორის დატვირთვისა და მდგრადობის შემოწმება), საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფის შემოწმება, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, დუალური სწავლების ობიექტის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის შემოწმება, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შემოწმება, პარტნიორ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების პირობების გადამოწმება, გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან.

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში რეკომენდაციები არ გაცემულა.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	წყალარინების სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	2019 წლის 5 მარტის №97 ბრძანება / ცვლილება 2022 წლის 21 თებერვლის №93 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი 0168, ბ. ჭიჭინაძის ქ N10 (აფრიკის დასახლება)
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	-	შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	-	შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

კოლეჯი სპექტრის მისიაა „დაწესებულების მომსახურებით დაინტერესებულ ყველა პირს, მიაწოდოს პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის მომსახურება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ამით შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული თვითრეალიზაციისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე“. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 2019 წელს კოლეჯმა მიიღო უფლება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წყალარინების სისტემები, რადგან აღნიშნული პროგრამით ხდება ერთ-ერთი მოთხოვნადი და პერსპექტიული პროფესიის შესწავლა. სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025 წლების სტრატეგია) ითვალისწინებს დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება. კომპანია ევრომასტერის მოთხოვნით, რომელიც მრავალი წელია წარმატებით ოპერირებს ამ მიმართულებით შრომის ბაზარზე, მიზანშეწონილია პროგრამის 57% განხორციელდეს აღნიშნული კომპანიის ჩართულობით, მის ბაზაზე, აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება(29.12.2021 ხელშეკრულება N269/1), დაინტერესებული მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელების მიდგომის ცვლილება მნიშვნელოვნად გაზრდის სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხს, რადგან პროფესიული სტუდენტი განათლებას მიიღებს უშუალოდ რეალურ სამუშაო გარემოში, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მიწოდებას, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების შესაბამისად საწარმო იღებს ვალდებულებას პროფესიულ სტუდენტებთან გააფორმოს ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც გადაუხდის გარკვეულ ანაზღაურებას, რომელიც საქმის მოცულობის შესაბამისად მზარდი იქნება, რასაც ადასტურებს ასევე გასაუბრებით კოლეჯის და საწარმოს წარმომადგენლები. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“, კოლეჯმა შეაფასა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები, რომლის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა აღნიშნული პროგრამის ცვლილება - დუალური მიდგომით. დოკუმენტაციის ანალიზის და გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წყალარინების სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. დაწესებულების მიერ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განაცხადთან ერთად წარმოდგენილ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი უზუსტობები: ჩანაწერის შესაბამისად - „მოდულების, ქართული ენა A2 და B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით“, მაშინ როდესაც 2021 წელს აღნიშნული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება“ გაუქმდა და მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისს დამტკიცებული ბრძანება №42/ნ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, მუხლი 28. გარდამავალი დებულებების პუნქტი ბ) შერჩევა შესაძლებელია განახორციელდეს ასევე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. დაწესებულება ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ვიზიტის დროს ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება N87 -ით ცვლილებებით დამტკიცებული პროგრამა , რომელშიც აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია დირექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს N328 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის შერჩევის წესი. ასევე დამტკიცებულია აპლიკანტთა შეფასების ფორმები, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ მიღება ჯერ არ განუხორციელებია, პროგრამის და დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯს დირექტორის 2019 წლის 20 მარტის N129 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მისაღებ სტუდენტთა ქვოტა თითოეული პროგრამის ფარგლებში განისაზღვროს შემდეგი პარამეტრებით: მოდულ(ებ)ის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო და ორ ცვლაში მათი გამოყენების შესაძლებლობა(კვირეული დატვირთვა არაუმეტეს 60 საათი); პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა(კვირეული დატვირთვა არაუმეტეს 40 საათი); საწარმოო პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის რესურსი - პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული დასაშვებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას შეადგენს წელიწადში 30-ს; დოკუმენტაციის ანალიზის, დათვალიერების და გასაუბრების შედეგების შესაბამისად სსიპ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კოლეჯის „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წყალარინების სისტემები პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას (30 პროფესიული სტუდენტი) განსაზღვრავს კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

წყალარინების სისტემების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა წყალარინების სისტემები არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

სსიპ კოლეჯის „სპექტრის“ წესდების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება პროფესიული კოლეჯის დირექტორის პრეროგატივაა, შესაბამისად წყალარინების სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ (2019 წლის 5 მარტის № 95 ბრძანებით , ხოლო ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 21 თებერვლის №93 ბრძანებით).

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებაა - წყალარინების სისტემები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უშუალოდ არის დაკავშირებული პროფესიასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები / Water Supply and Sewage Systems, სარეგისტრაციო ნომრით 07309-პ, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა (ქართული ენით და ქართული ენის გარეშე), ადაპტირებული მოდულები, ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ, კოლეჯსა და საწარმოში სწავლის შედეგების/მოდულების განაწილების სქემა. განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში დაწესებულების განაცხადთან წარმოდგენილ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი, პროგრამის პუნქტი 11 – პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის მინიჭებაზე პასუხისმგებელი ორგანო, მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: ,,პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ერთი მიდგომით, რომლის მიხედვითაც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა“, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ჩარჩო დოკუმენტი, რომლის საფუძველზე შემუშავებულია აღნიშნული პროგრამა 11 პუნქტით მოიცავს შემდეგ მოთხოვნას: „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება“. აღნიშნული ფაქტის შესახებ ვიზიტზე ეცნობა დაწესებულების წარმომადგენლებს. ვიზიტის დროს ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება N87 -ით ცვლილებებით დამტკიცებული პროგრამა , რომელშიც აღნიშნული ხარვეზი გასწორებულია. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების წყალარინების სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია - „პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დოკუმენტი(წესდება), რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების და ცვლილების აქტი;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
- დათვალიერების შედეგები;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

წყალარინების სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტის ორ მიღებაზე, რომლის განსახორციელებლად გამოიყენება კოლეჯის შემდეგი რესურსები: ორი A გარემო გათვლილი თითოეული 15 პროფესიულ სტუდენტზე , ორი B გარემო (კომპიუტერული კლასი) თითოეული გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე, ასევე ერთი C გარემო 15 პროფესიულ სტუდენტზე და ერთი AC გარემო გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე, აღჭურვილი სწავლის შედეგების მისაღწევად შესაბამისი რესურსებით. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი შესყიდულია კოლეჯის მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი შესყიდვისა და მიღება ჩაბარების დოკუმენტებით. დაწესებულებას პროგრამის დუალურად განხორციელების მიზნით.გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება **შპს ევრომასტერთან.** ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს დროს დუალური სწავლებისთვის განკუთვნილი საწარმოს ხელმძღვანელმა ვრცლად ისაუბრა საქართველოში წყალარინების სისტემების სპეციალისტების დეფიციტის შესახებ და აგრეთვე, იმ რესურსების თაობაზე, რომლის მიხედვით პირველ ეტაპზე განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტის მომზადება მათი ჩართულობით. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ყველა გარანტია პროგრამის ფარგლებში საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების მატერიალური და კვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფაზე 30 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულება გეგმავს თითოეულ მიღებაზე 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას,სასწავლო გეგმა ორწელზეა გათვლილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (30 პროფესიული სტუდენტი).

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

წყალარინების სისტემების პროგრამის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს სულ 12, მათ შორის ძირითად დარგობრივ მოდულებს ახორციელებს 2 პირი, რომელთაგანაც ერთი ამავდროულად არის პროგრამის ხელმძღვანელი. დუალური პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად სასწავლო პროცესი დაგეგმილია კოლეჯსა და საწარმოში - სამი კვირა საწარმოში, ერთი კვირა კოლეჯში, გეგმა შედგენილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ არის 40 საათზე მეტი. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. შესაბამისად პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირადი საქმეებით, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით და სამუშაო გამოცდილებით, განხორციელდა გასაუბრება პერსონალთან, აღნიშნეს რომ ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების და ცვლილებების განხორციელების ნაწილში, დოკუმენტაციით და ინტერვიურებით დასტურდება, ასევე რომ საჭიროების გათვალისწინებით, სწავლების მეთოდების და შეფასების საკითხებში პროფესიულ მასწავლებლებს უტარდებათ როგორც გარე, ასევე შიდა კონსულტაციები/ტრენინგები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

წყალარინების სისტემების პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს, როგორც დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ჩართულია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით, გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო პროგრამის ადაპტირებაში, სასწავლო გეგმის შემუშავებაში/საათების გადანაწილებაში, რესურსების დაზუსტებასა (მატერიალური და სასწავლო) და პროგრამის განხორციელების მიდგომის ცვლილებების ნაწილში .

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია და გამოიყენება სასწავლო პროცესში, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. ელექტრონული რესურსი ჩაწერილია დისკზე. ბიბლოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სწავლების გამოცდილება, რაც გულისხმობს საჭირო დამატებით ადამიანური და მატერიალური რესურსის მიწოდებით მათ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. კოლეჯის მთელი სივრცე ადაპტირებულია სსსმ სტუდენტებისათვის და შესაბამისად, არც ბიბლიოთეკასთან და არც საგანმანათლებლო სივრცეებთან მათი წვდომა პრობლემას არ წარმოადგენს. დაწესებულებას სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირების მიზნით ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და სსსმ პირების ასისტენტი. საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჩასართავად შესაძლებელია ჟესტური ენის თარჯიმნის სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის დახმარების უზრუნველყოფა.

მარეგულირებელი წესით დარეგულირებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების მართვა სასწავლო რესურსების ადაპტირებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებით, თუ აღნიშნული სერვისით სარგებლობა დასჭირდა მეთოდოლოგიების და გამოყოფილი რესურსების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილებს და ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი (11). ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი მოიცავს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება ადმინისტრირების ხარჯი, პროფესიული მასწავლებლის ანაზღაურებისა და მასალა-ნედლეულის საფასურისგან. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და ხელშეკრულებები;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- რესურსების შესყიდვის და მიღება-ჩაბარების აქტები;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი;

24.02.2022 წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: